სახელმწიფო
შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №44

ქ. ბათუმი 24 თებერვალი, 2023 წელი

ერთი მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი"/„ბსუ") წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მერაბ დიასამიძის სახით და მეორე მხრივ შპს ,,ძველი თბილისი" (შემდგომში ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის არჩილ იოსელიანის სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ს[1]" ქვეპუნქტისა, და ჩატარებული ბაზრის კვლევის შედეგების (№MES 0 23 0000173513. 14/02/2023 წ). საფუძველზე ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი

1.1. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი - ჰიგიენისა და სანიტარიული საშუალებები, CPV კოდი - 39800000.

1.2. შესყიდვის ობიექტის დასახელება, ოდენობა, ერთეულის ფასი, მოცემულია დანართში (ფასების ცხრილი), რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი.

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 2162,5 (ორიათასასსამოცდაორი ლარი და 50 თეთრი) ლარს,

2.2. მომსახურების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, რომელთა გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2.3. ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო.

2.4. ანგარიშსწორება „შემსყიდველის" მიერ განხორციელდება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ, 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

2.5. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

2.6. დაფინანსების წყარო - საკუთარი შემოსავლები, ბსუ-ს 2023 წლის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „უნივერსიტეტის საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა"- ფარგლებში.

3. ხელშეკრულების ინსპექტირების (კონტროლის) პირობები

3.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს, წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად მიღება-ჩაბარების მიზნით მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას უზრუნველყოფს **ბსუ-ს მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი როლანდ ხალვაში.**

3.2. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

3.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ფინანსური და მატერიალურ–ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 2023 წლის 03 მარტისა.

4.2. მომსახურების ადგილია ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ. №35.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება - ჩაბარება განხორციელდება მიღება - ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება „შემსყიდველის“ და ,,მიმწოდებლის” მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ;

5.2. შესყიდვის ობიექტის მიღება და საბოლოო შემოწმება ხდება მომსახურების გაწევის ადგილზე;

5.3. შესყიდვის ობიექტის მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

6.1. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ თავის ვალდებულებებს ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში შემსყიდველი წერილობითი ფორმით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

6.2. შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებელს შეუწყვიტოს ხელშეკრულების შესრულება წერილობითი ფორმით შეტყობინების შემდეგ მიმწოდებლის მიერ მისი ვალდებულებების ან მისი ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში თუ:

ა) მიმწოდებელმა არ მიაწოდა შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში.

ბ) თუ მიმწოდებელმა არ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა თავისი ვალდებულებები.

6.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ყოველ დაგვიანებულ დღისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0.1 %-ის ოდენობით.

6.4. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 5 (ხუთი) %-ის ოდენობით.

6.5. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ფასის 1 %-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

6.6. წინამდებარე ხელშეკრულების 6.3. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ან შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

7.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.3. ნებისმიერი ცვლილება რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

7.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7.5. მხარეს შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე, თუ მეორე მხარე აშკარად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნას.

7.6. თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდება, რომ არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ მიმწოდებელი არ შეასრულებს თავის ვალდებულებას ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, შემსყიდველი უფლებამოსილია ვადაზე ადრე მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა.

7.7. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

7.8. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებში. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ.

8. ფორს-მაჟორული სიტუაციები

მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

9. სადაო საკითხების გადაწყვეტა

9.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

9.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვროს ხელშეკრულების დადების დღიდან 2023 წლის 10 აპრილამდე.

11. სხვა პირობები

11.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

12. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ს.ნ. 245 428 158
მის.: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35
ბ/კ: TRESGE22
მიმღები ბანკი - სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

მერაბ დიასამიძე

„მიმწოდებელი“

შპს „ძველი თბილისი“

ს.ნ. 404424440
მის: ქ. თბილისი, ბეთლემის ქ.№25

საბანკო რეკვიზიტები:
ბანკი: ს.ს. „საქართველოს ბანკი”
ბანკის კოდი _ BAGAGE22
ანგ. № GE49BG0000000296322900

შპს „ძველი თბილისი“-ს დირექტორი

არჩილ იოსელიანი

Archil Ioseliani 01811102843

Digitally signed by Archil Ioseliani
Date: 2023.02.24 16:54:42

<u>დანართი №1</u>

ფასების ცხრილი

№	მომსახურების დასახელება	ზომის ერთეული,	რაოდენობა	ერთეულ ის ფასი (ლარი)	საერ თო ფასი	CPV კოდი
1	იატაკის საწმენდი ჩვარი მიკროფიბრა, ზომა: 60*80 სმ	ცალი	200	4,90	980	383313000
2	აეროზოლი ჰაერის გამწმენდი აეროზოლი (300 მგ)	ცალი	250	2,50	625	383113000
3	უნივერსალური საწმენდი საშუალება სიფ კრემი	ცალი	50	3,95	197,5	383130000
4	სახეხი ფხვნილი სამზარეულოს ნიჟარებისა და ტუალეტის აქსესუარების საწმენდად, დაბალი აბრაზიით	ცალი	180	2,00	360	383130000
სულ ჯამი: ორიათასას სამოცდაორი ლარი და 50 თეთრი 2162,50 ლარი						